

**საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ტრენინგების კონცეფცია 2019 წლის 19 მაისის  
პარლამენტის შუალედური და მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის**

კონცეფცია ითვალისწინებს პროცედურული ტრენინგების ჩატარებას ოთხ ეტაპად N1 მთაწმინდის, N22 მარნეულის, N51 ზესტაფონის, N56 ჭიათურის, N67 ზუგდიდის და N84 ხულოს საარჩევნო ოლქებში შემავალი 393 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. ტრენინგებს ჩატარებას უზრუნველყოფენ სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული ტრენინგები.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ტრენინგების დაწყებამდე გათვალისწინებულია ინსტრუქტაჟის ჩატარება კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას უზრუნველყოფენ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ხასიათის ინსტრუქციის მიხედვით.

განხორციელების პერიოდი: 16-18 აპრილი, 2019 წელი

**პროცედურული ტრენინგების სისტემა**

**I ეტაპი და III ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების სწავლებას. პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან შემდეგ ძირითად საკითხებს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში, მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენცია ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების საორგანიზაციო, სახედამხედველო და რეაგირებითი უფლებამოსილებები კენჭისყრის დღეს საარჩევნო ოპერაციების მართვის პროცესში;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა;
- ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა;
- საოლქო საარჩევნო კომისიასთან კომუნიკაცია/კოორდინაცია;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში და კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შევსება;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგი ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების უზრუნველსაყოფად მონაწილეები განახორციელებენ ეპიზოდურ ინსცენირებებს. პრაქტიკული სწავლების ფარგლებში, საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები ასევე გაეცნობიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებს ვიდეო-რგოლის ჩვენებით და შესაბამისი ინსტრუქტაჟის მიღებით.

I ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 3.30 საათი

III ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 3.30 საათი

I ეტაპის განხორციელების პერიოდი: 23-24 აპრილი, 2019 წელი

III ეტაპის განხორციელების პერიოდი: 6-7 მაისი, 2019 წელი

**II ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა (9 წევრი თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიიდან, გარდა ხელმძღვანელი პირებისა) სწავლებას. პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან შემდეგ ძირითად საკითხებს:

- საარჩევნო უბნის გახსნა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების წილისყრით განაწილება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად;
- ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმის დათვლის პროცესში;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგი ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადრმავეების უზრუნველსაყოფად მონაწილეები განახორციელებენ ეპიზოდურ ინსცენირებებს. პრაქტიკული სწავლების ფარგლებში, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ასევე გაეცნობიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებს ვიდეო-რგოლის ჩვენებით და შესაბამისი ინსტრუქტაჟის მიღებით.

II ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 2.30 საათი

II ეტაპის განხორციელების პერიოდი: 30 აპრილი-4 მაისი, 2019 წელი

**დამატებითი ეტაპის ტრენინგები** ჩატარდება საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილ (ახალ) წევრებს და იმ წევრებს, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში).

დამატებითი ეტაპის ტრენინგების განხორციელების პერიოდი: 9 მაისი, 2019 წელი

**IV ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას. ტრენინგების ფარგლებში საუბნო კომისიების წევრები პრაქტიკულად განახორციელებენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებს კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურების, კენჭისყრის შენობის დახურვის/ხმის დათვლის პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას). ტრენინგის მონაწილეები ასევე გაეცნობიან კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციებსა და არჩევნების უსაფრთხოების საკითხებს.

IV ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 2.00 საათი

IV ეტაპის განხორციელების პერიოდი: 10-15 მაისი, 2019 წელი